



ოქტომბერი,  
2025 წელი

# პეიტუ დუჰვიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებულმან მან, და არავინ განაღოს დაჯული იგი“  
(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი

სავედრებელი პარაკლისი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით

გვერდი მე-2

ნარმატებული  
ვისაღები  
გამოცდები

გვერდი მე-6-7

გვესაუბრებიან  
ნარჩინებული  
პირველკურსელები

17 საუკუნე ერთად

საქართველოს საპატრიარქო:



2026 წელს უნდა აღიზაროს ათასი უნივერსიტეტი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან

გვერდი მე-3-4

✠ მარის სინეინდებები ✠



ანისხათის ტაძარი

გვერდი მე-12

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნდა აღიზაროს ათასი უნივერსიტეტი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან

გვერდი მე-5

სტუდენტის თვალსაზრისით

„სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილი“



გვერდი მე-11

უახლესი ისტორია

2008 წლის  
აგვისტოს  
ომის ეპო

გვერდი მე-8





# სავედრებელი პარაკლისი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიის, თეოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სიონის საკათედრო ტაძარში ალაგლინა სავედრებელი პარაკლისი, რომელსაც ესწრებოდნენ სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სიონის მრევლი. ტაძრის მღვდელმსახურებთან ერთად, თანამსახურებდნენ სასწავლებელში მოღვაწე სასულიერო პირები.

პარაკლისის დასასრულს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ქადაგებით მიმართა შეკრებილთ, მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება, დალოცა და შეახსენა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც თითოეულ მათგანს ეკისრება. მამა გიორგიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ღვაწლი და განუზომელი დამსახურება ერისა და



ეკლესიის წინაშე.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ღრმად გააცნობიეროს პასუხისმგებლობა და შეძლოს, მოღვაწეობის ის სახე აჩვენოს, რაც სათნოა ღვთისთვის.“

ვის. ჩვენთვის დიდი მაგალითია უწმინდესი პატრიარქი. მისი მოღვაწეობით საქართველოში დაფუძნდა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლები და სასულიერო სემინარიები, დაარსდა საერო უმაღლესი სასწავლებლები და

აღორძინდა საღვთისმეტყველო მეცნიერება. უწმინდესისა და უნეტარესის მოღვაწეობამ შესაძლებელი გახადა საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის აღმასვლა, თითოეული თქვენგანის მოღვაწეობას კი შეუძლია ამ ეკლესიას კიდევ უფრო შემატოს ხარისხი. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლების, ჩვენს კედლებში აღზრდილი სასულიერო პირებისა და სტუდენტების მოღვაწეობით დაუბრკოლებელი იყოს ჩვენი ეკლესიის წინსვლა და აღორძინება უწმინდესი პატრიარქის წინამძღოლობით. ღმერთმა მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და სიკეთე, ღმერთმა ერთმანეთის სიყვარულით შეგვაძლებინოს, რომ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კედლებში სუფევდეს ჭეშმარიტი რწ-

მენა და ჭეშმარიტი ცოდნა. ღმერთმა ინებოს, რომ მაცხოვრებელი რწმენა და მაცხოვრებელი ცოდნა, წმინდა ეკლესიაში დაგანებული უცვალებელი რჯული ღვთისა ამ სასწავლებლიდან განიფინებოდეს ჩვენს ღვთისმოყვარე ერში“, - ბრძანა რექტორმა.

მამა გიორგი ზვიადაძემ მადლობა გადაუხადა სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში მოღვაწე სამღვდელო პირებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს, ასევე, საგანგებო მაღლიერება გამოხატა საქართველოში მოღვაწე თითოეული სასულიერო პირის მიმართ, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან მართლმადიდებელი ეკლესიის წინსვლას. რექტორმა მრავალჯამიერი სიცოცხლე უსურვა უწმინდეს პატრიარქს.

საზოგადოებასთან  
ურთიერთობისა და სტრატეგიული  
კომუნიკაციების სამსახური  
ნიკოლოზ ტურაშვილის ფოტო







# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეკრება გაიმართა

## «ის, რაც გვაერთიანებს!»

2024 წლის დასაწყისში „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პოპულარიზაციის სამეცნიერო ცენტრის“ წარმომადგენლებმა საქართველოს საპატრიარქოს გააცნეს მოსაზრებები ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მათი სურვილი იყო, 2024 წლიდან ქვეყნის მასშტაბით დაწყებული შემეცნებითი შეხვედრები და შემოქმედებითი საღამოები ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით.

საპატრიარქომ მოიწონა ეს განზრახვა და საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნულ აკადემიასთან თანამშრომლობით საფუძველი ჩაეყარა სამწლიან (2024-2026 წლები) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას „ქართული თვითმყოფადობა“. ამ პროგრამის ფორმატში შარშან და წელს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ლექციები ჩვენი ერის, ეკლესიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. მოსახლეობის ფართო ფენებთან გამართულმა შეხვედრებმა გამოავლინა ჩვენი საზოგადოების დიდი ინტერესი მსგავსი საგანმანათლებლო პროექტებისადმი.

ამის საფუძველზე მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა შორის გაჩნდა მოსაზრება, რომ საიუბილეო თარიღის

ფართო მასშტაბით აღნიშვნა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

ამ იდეის ჩამომყალიბებლებმა წინადადებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებს, შექმნილიყო საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიერ საიუბილეო თარიღის მნიშვნელობის გაცნობიერებასა და მის აღნიშვნაში აქტიურ მონაწილეობას. მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მხარდაჭერით შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა – „ის, რაც გვაერთიანებს“, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ყველასათვის ცნობილი ადამიანები – ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. მოძრაობის მიზანია, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიეროს ჩვენი ქვეყნისათვის ამ თარიღის გამორჩეული მნიშვნელობა.

დასახული მიზნის განხორციელებისთვის დაგეგმილია კულტურულ-სა-

განმანათლებლო ღონისძიებათა სერია მთელი ქვეყნის მასშტაბით. პირველი შეკრება ამ მოძრაობის ეგიდით თბილისში 2025 წლის 2 სექტემბერს „ექსპო-ჯორჯიას“ მე-3 პავილიონში გაიმართა, მიმდინარე წლის 19 სექტემბერს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უმასპინძლა ამ შეკრებას და ჩატარდა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა; სიტყვები წარმოთქვა: მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. მათ შორის იყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

**გაზეთ „კლიტე დავითისის“ რედაქცია მკითხველებს სთავაზობს აკადემიკოს ავთანდილ არაბულის სიტყვას.**

## მზადება ქართლის მოქცევის 1700 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად

მომავალ 2026 წელს 1700 წელი სრულდება საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების დროიდან.

ჩვენ ვდგავართ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის წინაშე. ეს თარიღი განასახიერებს არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას (თუნდაც რომელიმე უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას), არამედ იგი გამოხატავს ჩვენი ისტორიისა და კულტურის განუხრელი, უწყვეტი განვითარების 1700 წელს, უფრო მეტიც, მთელ ორ ათასწლეულს. ამიტომაც უსაზღვროდ დიდია პასუხისმგებლობა ჩვენი დღევანდლობისა ამ ისტორიული თარიღის პირისპირ: შევძლებთ კი შესაფერისად, ღირსეულად გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვლენის მიმართ.

როდესაც ამ პასუხისმგებლობითს მონივნებას გამოვხატავთ, ვგულისხმობთ იმას, რომ ბოლო ათწლეულებში წინააღმდეგობებს აწყდება ერის წების გაერთიანება ეროვნული და სულიერი ფასეულობების გარშემო. ამიტომ, ვერ შევძელით, თუნდაც რუსთაველის 850 წლის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნა, ანა კალანდაძის და სხვა კლასიკოსთა იუბილეების გამართვა. 2016 წელს იუნესკომ საკაცობრიო არამატერიალური კულტურის უკვდავ ძეგლთა ნუსხაში ასახა ქართული ნომინაცია „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ქართული სულიერი კულტურის განვითარების მთლიანობასა და უწყვეტობას. ეს მოვლენა რომ ჩვენი მეზობლების სახელით დაფიქსირებულიყო (სხვათა შორის, მათი ხმაც შეუერთდა იმ 150 დელეგატის ხმას, რომელმაც აღიარა საქართველოს შეთავაზება), მეორე დღითვე მთელ მსოფლიოს ეცოდინებოდა ამ გამარჯვების ამბავი. ჩვენ კი ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ საქართველოს მასშტაბით გავრცელებულიყო ეს აღიარება. დღესაც გვხვდებიან ნიგნირი ადამიანები, რომელთაც არაფერი სმენიათ ამის შესახებ!

თარიღი 1700 თავისი შინაარსით უპირველესად ამ ეროვნული „შეკრების“ მოტივად და სულის-

კვეთებად უნდა წარმოვიდგინოთ, ვინაიდან სწორედ 326 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ისტორიის ახალ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეტაპს - ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ახალი ჭეშმარიტი სარწმუნოების, ანუ ახალი ზოგადადამიანური და ზოგადეროვნული ცნობიერების საფუძველზე.

ღვთისმშობლის წების განმასახიერებელი და ხელთუქმნელად აღბეჭდილი მისი ხატის მტვირთველი წმინდა ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივმა მისიამ საქართველოში უთუოდ წარუშლელი კვალი დატოვა - ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებას ახლის ცნობიერების წყურვილით ნაზიარებმა ქართველმა ერმა კეთილად მიიღო და სამი საუკუნის განმავლობაში გაუნელებლად შეინახა ღვთისმშობლის ნილხვდომილობისა და თავდადებული ღვთიერწიულობის ნიჭი და სასოება. ამიტომაც შეხვდა იგი განმზადებული გულით მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ჭეშმარიტების მათხმებელ სიტყვასა და საქმეს.

ჩვენ თუ დღეს შევძლებთ მცირედ მაინც წარმოვიდგინოთ იმ დღის დაულამებელი გაბრწყინება, როდესაც კურთხეულმა მეფე მირიანმა, დედოფალი ნანას შთაგონებით, საქვეყნოდ გამოაცხადა ქრისტიანული სარწმუნოების მიღება და ქართველმა ერმა ერთობლივად მტკვრისა და არაგვის შესართავთან მიიღო იგი, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მზად ვყოფილვართ ამ ისტორიული დღისა და შემდგომი მოვლენების გასააზრებლად.

დღეს ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღის შესაფერისად აღნიშვნის ფიქრმა და განზრახვამ შეგკრიბა.

ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რომ ოფიციალურად უკვე გადაიდგა რამდენიმე საორგანიზაციო ნაბიჯი: წმინდა სინოდმა მიიღო საგანგებო დადგენილება ამ თარიღისათვის მზადებასთან დაკავშირებით და საქართველოს საპატრიარქოსა და ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლობით შეიქმნა შესაბამისი საიუბილეო კომისია. უეჭველია, რომ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი შესაფერის ოფიციალურ გამოხატულებას მოიპოვებს. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი ამოცა-

ნა უნდა იყოს ის, რომ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი გახდეს ჭეშმარიტად საერთო სახალხო მოვლენა, ერთგვარი ეროვნული მოძრაობა მივიწყებული ისტორიული ორიენტაციების მიმართულებით. დღეს, როდესაც თანამედროვე საინფორმაციო და მასკულტურის აგრესიული გავრცელების, ეთიკურ-ესთეტიკური დეზორიენტაციისა და ეროვნული ნიჰილიზმის პირობებში საზოგადოების, მით უფრო, ახალგაზრდობის წინაშე მყარი ფასეულობითი ორიენტაციების წარმოჩენა პრობლემური გამხდარა, ამგვარი მაღალი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას მართლაც შეუძლია ხელშეხსნა მათი ორიენტირებელი როლის შესრულება. ამ მიზნით მიზანშეწონილი იქნება ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ამ პროცესში საზოგადოების მასობრივ ჩართულობას. შესაძლებელია ყოველ სასწავლო თუ სამეცნიერო ერთეულს ჰქონდეს საკუთარი ინიციატივა ამ საერთო მოძრაობის ფარგლებში; მაგალითად, ისეთი, როგორც შესთავაზა ამ სხდომას მაცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსი როინ მეტრეველმა: მომავალ წელს აღინიშნება 85 წლისთავი აკადემიის დაარსებიდან, რასაც მიეძღვნება V საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი. ამ კონგრესის ერთი სხდომა წარმოდგენილი იქნება სახელწოდებით „ქრისტიანობის 1700 წელი“.

უნდა ითქვას, რომ ამ დიდი თარიღისათვის მზადების ნიშნით უკვე ხორციელდება გარკვეული კონკრეტული ინიციატივები. ამ მხრივ სანიშნავია ის საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელიც გასული წლის დასაწყისიდან გეგმიურად მიმდინარეობს „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პოპულარიზაციის სამეცნიერო ცენტრის“ ინიციატივითა და საქართ-

ველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით და რომელმაც უკვე მოიცვა არა მხოლოდ ცენტრალური ქალაქები, არამედ რეგიონები და ეპარქიებიც. და ამ გეგმით წარმართულმა საუბრებმა საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ხელშეხსნა წარმოაჩინა, თუ რაოდენ მოწყურებულია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ინფორმაციის ქართველი ერის თვითმყოფადობისა და ჭეშმარიტი ეროვნული ფასეულობების შესახებ.

ამავე ინტერესითა და განზრახვით შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ის, რაც გვაერთიანებს“. თავად ამ მოძრაობის დევიზი „გავიხსენოთ ის, რაც გვაერთიანებს“ ზუსტი პასუხია თანამედროვე ეპოქის უმწვავეს გამოწვევებზე, როდესაც ღია საინფორმაციო სივრცე აქტიურად გვთავაზობს თემებსა და საკითხებს, რომლებიც უმაღლეს საზოგადოების გათიშვისა და პოლარიზაციის წყაროდ გვევლინება. სამაგიეროდ, დიდი საიუბილეო მზადების თემატიკამ და სულისკვეთებამ უნდა დააბრუნოს ჩვენი საზოგადოება იმ ჭეშმარიტ ზნეობრივ და კულტურულ საწყისებთან, რაც ეროვნული ერთიანობისა და თანხმობისათვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

ვფიქრობთ, მიზანი მიღწეული იქნება, თუკი თითოეული ჩვენი თანამემამულე საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს, რომ იყოს ამ დიდი მოვლენის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გამოხატვის ერთ-ერთი ინიციატორი, იდეის ავტორი თუ ორგანიზატორი, ანდა, თუნდაც, საერთო ფასეულობითი ორიენტაციებისაკენ ერის ერთობლივი მოძრაობის გულწრფელი მონაწილე – იმის სრული შეგნებით, რომ ვდგავართ განსაკუთრებული ისტორიული მოვლენის წინაშე.

**რედაქციისაგან: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრისი ღონისძიებები.**



# სამეცნიერო ჟურნალი „თეოლოგია“ 100 წლისაა

## საქართველოს აკადემიის დღეობასა და „თეოლოგიის“ იუბილეზე

საბერძნეთში, ქალაქ თესალონიკში, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო ჟურნალ „თეოლოგიის“ ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მართლმადიდებლური თეოლოგია და ტექნოლოგიის ონტოლოგია: ანთროპოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები“, რომელიც ჩატარდა საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ორგანიზებით. საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი ბრძანდებოდა ჟურნალ „თეოლოგიის“ აღმასრულებელი რედაქტორი, პროფესორი ალექსანდრე კაცარასი. ღონისძიების სტუმრებს მასპინძლობდა ქალაქ თესალონიკის სამიტროპოლიტო.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სამი დღის განმავლობაში (29 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე) მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობდნენ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტანტინე ტასულასი, მსოფლიო პატრიარქი, მისი ყოვლადუნაშინდესობა ბართლომეოსი, მისი უნეტარესობა, ბულგარეთის პატრიარქი და სოფიის მიტროპოლიტი დანიელი, ახალი იუსტიციისა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი გიორგი, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი იერონიმე, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი იოანე, საქართველოსა და სხვა ადგილობრივი ეკლესიების დელეგაციები, ოფიციალური პირები და ცნობილი მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). დელეგაციის წევრები იყვნენ: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე და საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელის თანაშემწე, ილუმენი მიქაელი (ბრეგვაძე).

საერთაშორისო კონფერენცია მასშტაბური ღონისძიებით გაიხსნა წმინდა დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძარში, რომელსაც 800 ადამიანი ესწრებოდა. გახსნა ჟურნალ „თეოლოგიის“ აღმასრულებელმა რედაქტორმა, პროფესორმა ალექსანდროს კაცარასამ და სიტყვა გადასცა მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადუნაშინდესობა ბართლომეოსს. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვა საბერძნეთის ეკლესიის მეთაურმა იერონიმემ და საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კონსტანტინე ტასულასმა.

კონფერენციის მონაწილეებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მისასალმებელი სიტყვა გააცნო საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა გერასიმემ. პატრიარქის მისასალმებელი სიტყვა ბერძნულად თარგმნა ილუმენმა მიქაელმა (ბრეგვაძემ).

კონფერენციის მონაწილეებმა პლენარულ სხდომებსა და სესიებზე არაერთი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს, რომელთა მთავარი თემა იყო იმ გამოწვევებზე მსჯელობა, რაც თან ახლავს ტექნოლოგიების განვითარებას. საინტერესო აქცენტები დაისვა მართლმადიდებლურ თეოლოგიასა და ტექნოლოგიის განვითარებას შორის კავშირსა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებთან მიმართებით.

კონფერენცია დასრულდა კულტურული პროგრამით. დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა თესალონიკის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. მსურველების წინაშე ასევე წარდგა ცნობილი მომღერალი გორან ბრეგოვიჩი. შესრულდა ბერძნული ფოლკლორული მუსიკის ნიმუშებიც.

საბერძნეთში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ შეხვედრა გამართა ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს იერონიმესთან, რომელიც მეტად თბილად მოსაფეროვდა წარმართა. მისმა უნეტარესობა იერონიმემ დიდი პატივისცემით მოიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და გაიხსენა მასთან შეხვედრები. საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ პატრიარქის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა საბერძნეთის ეკლესიის მეთაურს. ასევე, სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წევრებს უნეტარეს იერონიმესგან.

ელისაბედ აბულაძე,

ერაზმუს + გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი  
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის.

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნაშინდესი და უნეტარესი ილია II-ის მისასალმებელი სიტყვა ჟურნალ „თეოლოგიის“ 100 წლისთავთან დაკავშირებით გაგზავნილ II საერთაშორისო კონფერენციაზე

თქვენო უნეტარესობავ, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსო იერონიმე!  
თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების პირველიერარქნო და წარმომადგენელნო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, პატრიოსანო მღვდელნო, აკადემიური წრეების პატივცემულო წარმომადგენელნო, ქალბატონებო და ბატონებო. ყველას გულითადად მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით და თქვენთან ერთად ვიზიარებ დღევანდელი დღის სიხარულს — საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალ „თეოლოგიის“ 100 წლისთავს და ამასთან დაკავშირებით მიძღვნილ II საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო კონფერენციას.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა არა მხოლოდ საბერძნეთის ეკლესიისათვის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის, რადგან აღნიშნული ჟურნალი საუკუნის მანძილზე ერთ-ერთ უმთავრეს და ავტორიტეტულ საგანმანათლებლო და საღვთისმეტყველო გამოცემას წარმოადგენს.

მოხარულნი ვართ, რომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იმართება სამეცნიერო კონფერენცია მეტად საინტერესო და აქტუალურ თემაზე: „მართლმადიდებლური თეოლოგია და ტექნოლოგიის ონტოლოგია: ანთროპოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები“.

მოგესხენებათ, გლობალური საკომუნიკაციო ქსელებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შეიქმნა ვითარება, რომელიც ჩვენი დროის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა.

ადამიანებს მიეცათ ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლის უსაზღვრო შესაძლებლობა, დისტანციური სწავლების, კვლევების ჩატარების, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური დახმარების ახალი საშუალებები... ტექნოლოგიების გამოყენებამ უპრეცედენტოდ დააჩქარა ინფორმაციის დაგროვება-დამუშავება და თითოეული ჩვენგანისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდა საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობაში დაგროვილი ცოდნა. მაგრამ, სიკეთესთან ერთად, ხელოვნური ინტელექტი უდიდეს საფრთხესაც შეიცავს, რამაც მსოფლიოს შეიძლება უფსკრულისკენ უბიძგოს და აქამდე უცნობ მიძივე ცოდვათა მსხვერპლი გახადოს. ამას საზოგადოება გრძნობს და უკვე ცდილობს დამცავი მექანიზმების შექმნას; თუმცა საკითხავია, რამდენად შეძლებს იგი სწორი ნაბიჯების გადადგმას, ან რამდენად ეფექტური იქნება ეს ქმედებანი?

გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ცივილური სამყაროს ფორმირებაში მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი. გავიხსენოთ, თუ როგორ ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება საუკუნეების წინ. პირველად სწორედ ეკლესიის წიაღში შეუქმნა საგანმანათლებლო და სულიერი კერები, რომლებიც წარმოადგენდა იმდროინდელი ცოდნის შესაკრებელსა და სწორი ორიენტირის მიმცემს.

დღესაც ეკლესია უნდა დარჩეს ჭეშმარიტი განათლებისა და სწორი აღზრდის ცენტრად და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითაც უნდა განამტკიცოს ქრისტიანული ღირებულებები; მას, ასევე, აქვს ვალდებულება, მოზღვავებული ინფორმაციის გარემოში დაეხმაროს ადამიანებს კეთილისა და ბოროტის გარჩევაში, რათა მათ არ გადაუხვიონ სულიერი გზიდან და არ დაემონონ მხოლოდ მატერიალურ ღირებულებებს, პრაგმატიზმსა და ეგოიზმს. მართლმადიდებლური სწავლება, დაფუძნებული საღვთო სიბრძნესა და გამოცხადებაზე, მეცნიერებასთან დიალოგითა და ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებით, უნდა იქცეს კაცობრიობისათვის სწორი და უსაფრთხო მომავლისა გზის მაჩვენებლად. ჩვენს წინაშე დგას ეს უდიდესი, ურთულესი და, ამასთან, აუცილებლად გადასაჭრელი ამოცანა.

ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო კონფერენციის გამართვისათვის, ჩემი და საქართველოს ეკლესიის სახელით, გულწრფელ მადლობას ვუხდით მის უნეტარესობას, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს იერონიმეს და საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდს; მადლიერებით ვლოცავთ ჟურნალ „თეოლოგიის“ დირექტორსა და მთავარ რედაქტორს, ბატონ ალექსანდრე კაცარასს, მის ყველა თანამშრომელს, აგრეთვე, კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

ვიმედოვნებთ, ეს ღირსშესანიშნავი შეხვედრა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტექნოლოგიების ონტოლოგიურ საკითხებთან მიმართებით ეკლესიის პოზიციის განმტკიცებასა და განსაზღვრაში, რათა ჭეშმარიტი სარწმუნოება კვლავაც იყოს მთავარი ორიენტირი ცხოვრების მაძიებელთათვის თანამედროვე სამყაროში, რათა „შეიცნონ ღვთისა და მამის, და ქრისტეს საიდუმლო, რომელშიც სიბრძნისა და ცოდნის ყოველგვარი საუნჯეა დაფარული“ (კოლ 2.2).

ქრისტესმიერი სიყვარულით,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, გიჟვინთისა  
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი



# ნარმატებული მისაღები გამოცდები

## ნუგზარ სამხარაძე,

საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარი-აში 2025-2026 სასწავლო წლის მისაღებ გამოცდებზე მონაწილეობისათვის აბიტურიენტებმა 20 აგვისტოდან დაიწყეს საბუთების შემოტანა. მიმღებ კომისიას, რომელიც რექტორის კურთხევით შეიქმნა, დაგვე-ალა ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობა და პროექტორების, ბესარიონ ცინცაძისა და რატი სტურუას ზედამხედველობით მიმდინარეობდა თითოეულ აბიტურიენტთან გასაუბრება და მათთვის საჭირო ინფორმაციის გაცნობა. საბუთების მიღება გაგრძელდა 3 სექტემბრამდე, პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა საშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია სასულიერო სასწავლებელთან დაკავშირებით, რაც ეხმარებოდა ეპარქიებში მცხოვრებ აბიტურიენტებს, გამარტივებით დაეგემათ საბუთების შემოტანა.

უკვე მერამდენე წელია რექტორის კურთხევით დისტანციურად მიმდინარეობს აბიტურიენტთა რეგისტრაცია, წელს 14-მა აბიტურიენტმა ისარგებლა ამ მეთოდით. უნდა ითქვას, რომ ჩვენს სასწავლებელს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან მოაშურეს. დარეგისტრირდა 95 აბიტურიენტი. ყველა მათგანმა ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა. ამრიგად, 2025-2026 სასწავლო წლისათვის თბილისის სასულიერო აკადემიაში (მაგისტრატურა) მიღებულია 25 სტუდენტი; თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბაკალავრიატი) — 20; ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე (ბაკალავრიატი) — 22; ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე (ბაკალავრიატი) — 17; საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტზე (ბაკალავრიატი) — 21, კერძოდ: საეკლესიო არქიტექტურის

(ხუროთმოძღვრების) მიმართულებაზე — 11, ხატწერის მიმართულებაზე — 5, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის მიმართულებაზე — 5.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აბიტურიენტები, ასევე, ჩვენი სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს წარმართავდნენ, პედაგოგ-მასწავლებლები, რომლებიც შესაბამის საგნებში წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით იბარებდნენ გამოცდებს, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ მნიშვნელოვან პროცესს.

15 სექტემბერს სწავლის დაწყების წინ აღსრულებულ პარაკლისზე, სიონის საკათედრო ტაძარში რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ დალოცა და წარმატებები უსურვა წლევედელ პირველკურსელებს.

# გვესაუბრებიან ნარჩინებული პირველკურსელები

## ბაბრიელ ნაპროზაშვილი,

სასულიერო აკადემიის პირველკურსელი

დეკანოზ ლევან ნაპროზაშვილის ოჯახში დაბადებულმა მე-4 შვილმა, თბილისის 43-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 2021 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში გავაგრძელე სწავლა და წელს ცოდნის გაღრმავების მიზნით გადავწყვიტე სასულიერო აკადემიაში ჩამებარების გამოცდები. დღეს უკვე საღვთისმეტყველო ფაკულტეტის პირველკურსელი ვარ და მადლობას ვუხდის სასწავლებელს ამ შესაძლებლობისთვის.



კურთხევა დღემდე მენევა ცხოვრებაში. შემდეგ ბებია ჩამიყვანა სიონთან ახლოს არსებულ „კაფეში“, რომელსაც მე რატომღაც „საპატრიარქოს კაფეს“ ვუწოდებდი, და გემრიელი ჩაი და ლობიანი მივირთვით. მას შემდეგ ხშირი იყო სიონი, „საპატრიარქოს კაფე“ და გემრიელი ლობიანი ჩაის თანხლებით...

ცოტა რომ წამოვიზარდე, ასე 13-14 წლისა, უკვე დამოუკიდებლად, ხშირად შუა კვირამდე მივდიოდი სიონის ტაძარში. ერთი სული მქონდა, ჩამეყო ლესელიძის ქუჩის ქვაფენილი და ტაძარში მივსულიყავი. გაფაციცებით ვუმზერდი ტაძრის პირდაპირ მდგარ შენობას, სადაც უკვე ვიცოდი, რომ „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“ იყო. ამ დროს უკვე გადაწყვეტილი მქონდა, სკოლას რომ დავამთავრებდი, იქ მესწავლა. ერთი მხრივ, უდიდესი სურვილი დამეუფლა, განმეცადა სემინარიის კედლებში სტუდენტის სტატუსით შესვლა და, მეორე მხრივ, მსურდა გავმხდარიყავი სასულიერო პირი.

მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. დავამთავრე საერო უნივერსიტეტი, შევექმენი ოჯახი, მაგრამ როგორც წმინდა დავით მეფესალმუნე ბრძანებს: „უფლისა მიერ წარემართების სლვაჲ კაცისაჲ და გზაჲ მისი ინებოს ფრიად“, უნივერსიტეტში ბაკალავრიატის დამთავრებიდან 15 წლის შემდეგ, ღვთის განგებითა და წყალობით, ჩემი მოძღვრის და სასულიერო აკადემიაში მყოფი კეთილი ადამიანების გვერდით დგომით, შემოვდგი ფეხი შენობაში, რომლის კედლებში ყოფნა, სადაც საქართველოს ეკლესიისათვის თავდადებული არაერთი სასულიერო და საერო პირი აღიზარდა, ჩემთვის საამაყო და საპასუხისმგებლოც არის, „რა მივაგო უფალსა ყოვლისავეთს, რომელი მომაგო მე?“ (ფს. 115,3).

უფალო, „სული შენი სახიერი მიძლოდეს მე ქუეყანასა წრფელსა“ (ფს. 142,10).

## ნიკა ჭუმბურიძე, სასულიერო სემინარიის პირველკურსელი

ქალაქ გურჯაანის მე-4 საჯარო სკოლის ნარჩინებით – ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ 2022 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2023 წელს მოვიპოვე სახელმწიფო სტიპენდია. წელს კი სასულიერო სემინარიის პირველკურსელი გავხდი. ამჟამად, სემინარიის პარალელურად, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ. „იურისპუდენცია საღვთო და ადამიანური საქმეების შეცნობაა“, – წერია იუსტინიანეს კოდექსში. და ვცდილობ, როგორც მომავალმა იურისტმა და თეოლოგმა, ადამიანური კანონების ღვთის სამართალთან

შესადაგება ვისწავლო.

წელს ასევე ჩავაბარე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა ისტორიაში. თავისუფალ დროს სწორედ ისტორიული დოკუმენტებისა და ლიტერატურის კითხვა-შესწავლით ვარ დაკავებული.

ეკლესიის ბავშვობიდან გაუშინაურდი და დღეს ჩემი მშობლიური კერა გურჯაანის წმინდა სამების საკათედრო ტაძარია, ხოლო მოძღვარი – მღვდელი ვაჟა სონღულაშვილი რწმენის, შრომისმოყვარეობისა და პიროვნულობის მაგალითია. მან, თავისი მამობრივი მზუნველობით, არაერთი მართებულად გადადგმული ნაბიჯისკენ მიბიძგა. თბილისის სასულიერო სემინარიაშიც მისი რეკომენდაციით მოვედი. მამა ვაჟა ამჟამად წინამძღვარია გურჯაანის მთავარანგელოზ მიქაელის ტაძრისა, რომელიც გამორჩეულია, ვინაიდან საუკუნის წინათ აქ წმინდა მამა პოლიევქტოს კარბელაშვილი მსახურობდა და მისი საფლავი ჩვენი ტაძრის ეზოშია. ამ წმინდა საფლავში, გარდა ხშირი ნირვა-ლოცვისა, სხვადასხვა ღონისძიება იმართება, რომლებიც მრევლს სულიერებაში განამტკიცებს. ჩვენს ეპარქიას კიდევ მრავალი სამაგალითო სასულიერო პირი ჰყავს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო მართებული მღვდელმთავარი – გურჯაანისა და ველისციხის მთავარეპისკოპოსი ექვთიმე, რომელიც ოცდამესამე წელია, ღირსეულად ატარებს მძიმე ჯვარს და მრევლისთვის სულიერების ეტალონია. ჩემთვის დასამახსოვრებელია ქალაქ გურჯაანის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ-მონაზონი ილია ჭოველიძის მზრუნველობაც.

სასულიერო სემინარიაში სწავლის სურვილი დიდი ხნის განმავლობაში მქონდა. ღვთისმსაურების სიყვარულის პარალელურად მეტად ღირებული და საპატიოა, შეისწავლო ქრისტიანობის უმთავრესი პრინციპები. უმაღლესმა საღვთისმეტყველო სასწავლებელმა ჩემი იმედები გაამართლა – აქ არაერთი ღვანღმოსილი პედაგოგი დამხვდა: ბატონი სერგო ვარდოსანიძე, ბატონი ავთანდილ არაბული და სხვა მრავალი სასულიერო თუ საერო პირი.

სემინარიაში მისაღებად ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება მჭირდებოდა. შედეგად უმაღლესი შეფასება მივიღე. ამ გამოცდის შედეგმა გამომაცოცხ-



## თორნიკე რაზმაძე,

სასულიერო აკადემიის პირველკურსელი

ასე 10-11 წლისა ვიქნებოდი, ბებია, კომუნისტურ ეპოქაში გაზრდილმა ქალბატონმა მარიამმა, რომელსაც მამა ჩეკისტი, ხოლო დედა ფარული მორწმუნე ჰყავდა, სიონის ტაძარში წამიყვანა ნირვაზე, სადაც პატრიარქი ღვთისმსახურებას აღასრულებდა. ნირვის დასასრულს იმ მწკრივში ჩამაყენა, რომლის გვერდითაც პატრიარქს უნდა გაეყო საკურთხევილიდან ავტომობილამდე, გზად კი ხალხი დაელოცა... მასხოვს, როგორ დამადო თავზე პატრიარქმა თავისი მადლიანი ხელი. ვგრძნობ, ეს ლოცვა-





▶ **მეექვსე გვერდიდან**

ლა და თან დამაფიქრა, რომ მოდუნება სწავლის პროცესში არასდროს არ შეიძლება.

ჩემთვის ამქვეყნად უძვირფასესი ჩემი ოჯახია - დედა, მამა, ბებია და უფროსი და. ჩემი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

მშობლიური ქალაქის სიყვარული მუდამ თან მდევს. გურჯაანში ძალიან ხშირად ჩავდივარ, ვსტუმრობ სკოლას, მასწავლებლებსა და ჩვენი დიდი ოჯახის - სამრევლოს წევრებს.

სემინარიაში სწავლის დაწყების შემდეგ პირველად მაღლიერების გრძნობა დამეუფლა - მაღლიერება უნმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ისადმი, რომელმაც საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ერს ახალი გრძნობები გაუღვივა. სასულიერო აკადემია და სემინარია მისი დაარსებულია და მომავალი საუკუნეები ალმატებულად დააფასებენ მის ღვაწლს.

ვმადლობ უნმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და სემინარიის აკადემიურ პერსონალს ამ თბილ გარემოში ჩემი მოხვედრისთვის.

**ელისაბედ მერაპილიძე**

**ქრისტიანული ხელოვნებთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელი**



მრავალშვილიან ოჯახში - შვიდ და-ძმას შორის გაზრდილს, განსაკუთრებულ სითბოსა და ერთობაში მეოფს, ერთმანეთის გვერდით დგომასა და მხარდაჭერას მიჩვეულს, მშობლებმა ბავშვობიდანვე ეკლესიის სიყვარული ჩამინერგეს და ეს რწმენა ჩემს ცხოვრებაში მთავარ ღირებულებად იქცა.

სწორედ ამაში დამეხმარა და დღესაც მეხმარება ჩემი მოძღვარი, სიონის

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე.

ბავშვობიდან მიყვარდა კითხვა, მუსიკა და ხელოვნება - 5 წლის ასაკიდან ვმღერი ანსამბლში. დღეს სასულიერო აკადემიის სტუდენტობა ღირსებასთან ერთად დიდ მოვალეობასაც მაკისრებს. ვეცდები აქ მიღებული ცოდნა მომავალში სხვებსაც გაეუზიარო და ჭეშმარიტების ძიებაში დავეხმარო.

**ანა გოგაჯიძე**

**ქრისტიანული ხელოვნებთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელი**

ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა და განსაკუთრებით მიზიდავდა ხატწერა. თვრამეტი წლისამ თბილისის მეთვრამეტე საჯარო სკოლა დავამთავრე.

სკოლაში სწავლის პერიოდში ჩემი ნიჭის სასურველად წარმართვაში დიდად დამეხმარა ხელოვნების პედაგოგი - ნატა კიკაბიძე, მისი დახმარებით - ვმონაწილეობდი სხვადასხვა სახის გამოფენებში.

ჩემი სურვილი და მიზანია მუდამ ეკლესიის წიაღში ვიპრომო და ვიმსახურო. ამაში ჩემს მშობლებს მიუძღვით დიდი წვლილი, მათ გამზარდეს ქრისტიანულად. ასევე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მაღლობელი ვარ ჩემი მოძღვრის, დეკანოზ ზაქარია სინჯიაშვილისა, რომელიც ლოცულობს ჩემი სულისთვის და მაკურთხა, სწავლა გამეგრძელებინა თბილისის სასულიერო აკადემიაში.



**ლუკა ზაქარაძე**

**ქრისტიანული ხელოვნებთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელი**

წელს დავამთავრე ქალაქ სამტრედიის პირველი საჯარო სკოლა. ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ჩემი მოძღვარი და ნათლიაა სამტრედიის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის დეკანოზი ზაქარია მესხი.

დიდ მადლობას ვუხედი სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის ჩემს აღმზრდელს, დამრიგებლებს - ნანა კუკანიასა და ზოია ჯანაშიას, პედაგოგებს: მარინე ბოკუჩავას, მურმან მელქაძეს, ვერიკო ნიკურაძეს, ნიკოლოზ კოპალეიშვილს, მირიან ცინცაძეს. სწორედ ჩემი და ჩემი თანატოლების განათლებისთვის მათ მიერ გაწეული შრომის ნაყოფია, რომ მათი აღზრდილების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს სწავლას აგრძელებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ჩემი ინტერესის საგანია ქართული ქრისტიანული ხელოვნებთმცოდნეობის ისტორია - ის უმდიდრესი საეკლესიო რელიქვიები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ერს შეუქმნია. განსაკუთრებით მაინტერესებს ქართული ქრისტიანული გალობის ისტორია.

სწორედ ამიტომ სკოლის დამთავრებისთანავე მივაშურე დედაქალაქს და სწავლის გასაგრძელებლად მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში. ჩემი მიზანია, აქ მიღებული ცოდნა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვებსაც გავუზიარო და ვაზიარო ამ უდიდეს სულიერ საზრდოს.

**ქეთევან ბერიძე**

**ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი**

თბილისის 182-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ზაზა ფანასკერტელის სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ გადავწყვიტე გამოცდები ჩამებარებინა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, რაც ჩემი უდიდესი ოცნება იყო და ეს სურვილი წლების შემდეგ ავიხილინე. თავიდანვე ვიყავი დაინტერესებული ჰუმანიტარული მეცნიერებით, საღვთისმეტყველო საგნებით - ქრისტიანული რელიგიის ისტორიით. ამასთანავე, მქონდა სურვილი, დაეუფლებოდი ისეთ პროფესიას, რომლის შემწეობითაც დავეხმარებოდი ადამიანებს ცხოვრების სწორი და მართალი გზის მოძიებაში. ამასთან, დიდ ბედნიერებად მიმაჩნდა და მიმაჩნია, ეს აუბრო მათ უფალზე, რწმენაზე და შენი პროფესიული ცოდნაც გამოიყენო ამ ურთიერთობაში.

სწორედ ქრისტიანული ფსიქოლოგიის დანიშნულებაა ადამიანთა სულიერებისადმი ფაქიზად მოპყრობა და, საჭირო შემთხვევაში, მათი სულიერი განკურნებაც კი. და ამიტომაც სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მიღებული ცოდნით ვაპირებ მომავალში ვიმუშაო ფსიქოლოგად.

**მარიამ ყიფიანი**

**ხატწერის სპეციალობის პირველკურსელი**

თბილისის 32-ე საჯარო სკოლაში სწავლის პარალელურად, წარმატებით დავამთავრე სანდრო ინაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა, ვიოლინოს სპეციალობით. მშობლები ბავშვობიდანვე მინერგავდნენ ღვთის



სიყვარულს. კვირაობით მთელი ოჯახი ტაძარში დავდიოდით. ჩემი მოძღვარია არქიმანდრიტი სპირიდონ (დავით) აბრალავა, რომელიც მუხათგვერდის წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის მამათა მონასტერში მსახურობს.

რწმენას ნაზიარები, მუდამ ვგრძნობ ღვთის მადლს. აქვე გავიხსენებ ერთ ფაქტს ჩემი ცხოვრებიდან: ვირუსულ-ინფექციურ დაავადებას როცა ვებრძოდი, მამამ მცხეთაში, სამთავროს მონასტერში წამიყვანა და იქ დედა პარასკევამ წმინდა მამა გაბრიელის საფლავზე დამანვინა და მისი ლოცვით გამოვკეთდი და გადავრჩი.

ბავშვობიდან მეხერხებოდა ხატვა. როცა ღმერთი გაძღვეს ნიჭს, თუნდაც ეს იყოს მღვდლის მარცვლის ოდენა, უნდა გამოიყენო და მოახმარო შენს თავსაც და სამშობლოსაც.

როცა მე და დედა სიონის საკათედრო ტაძარში მოსალოცად ვიყავით, შევიტყვეთ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შესახებ, მაშინ მე-9 კლასის მოსწავლე სერიოზულად დავფიქრდი, რომ ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც ჩემი სული ისაზრდობდა და მაშინვე გადავწყვიტე მესწავლა სწორედ აქ. მიხარია, რომ დღეს ამ სასწავლებლის სტუდენტი ვარ.

**ანდრია ბუაძე**

**დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის სპეციალობის პირველკურსელი**

დავიბადე ზუგდიდში. გავიზარდე და ვცხოვრობ ხონის რაიონის სოფელ ქუტირში, ღვთისმსახურთა ოჯახში; მამა - დეკანოზი ზურაბი ამ სოფლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, დედა - თეონა ბუკია - მედავითნე, მგალობელი. მათი ხუთივე შვილი დაკავშირებული ვართ ეკლესიასთან.

2013-2025 წლებში ვსწავლობდი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში, პარალელურად 2014-2021 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნობო სკოლაში, ვეუფლებოდი ხალხური საკრავების სპეციალობას. ასევე, 2015-2020 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეაში ვეზიარე ფერწერის სპეციფიკას. ჩემი სულიერი მოძღვარია სოფელ პატარა ჯიხაშის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი შავლაძე. ვარ ქუტირის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მრევლის წევრი. 11 წელია, რაც სტიქაროსანი ვარ. ხატწერის შესწავლის სურვილი 7 წლის ასაკიდან გამიჩნდა, რომლის ასრულებაშიც დამეხმარა სამხატვრო სკოლა-გალერეის ხატწერის გაკვეთილები და შემდგომში, სკოლაში არსებული ხატწერის შემსწავლელი წრე, პედაგოგ ელგუჯა ახობაძის ხელმძღვანელობით. კონკრეტულად ხატწერის რესტავრაციამ დამაინტერესა მაშინ, როდესაც კაბადოკიასა და ტაო-კლარჯეთში ვიხილე ძველი ფრესკები, რომლებიც, როგორც სიძველის, ასევე, ვანდალიზმის გამო ძალიან დაზიანებული იყო.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტის შესახებ შევიტყვე საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერიდან და აქ სწავლის გაგრძელება გადავწყვიტე ჩემი თანასკოლელისა და მეგობრის, საბა წონორიას რჩევით. მან უკვე დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია და სწორედ მასთან საუბრების შემდეგ გამიჩნდა სურვილი ამ მეტად სულიერი და საინტერესო საქმიანობისკენ ამელო გეზი. სტუდენტობის პირველივე დღეებმა დამარწმუნა, რომ მოვედი იქ, საიდანაც ჩემს მომავალ მოღვაწეობას საფუძველი ჩაეყრება.





# 2008 წლის აგვისტოს ომის ექო



**2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს საპლიანი ომის კვლავი კაპიტულაციის კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ოქაიკაპულ ცხინვალის რეგიონში სასწრაფოდ ჩავიდა. პატრიარქის მიერ მიღებული მონიერი გადაწყვეტილებებისა და მისი აღსრულების შედეგად სხვადასხვა ახალგაზრდა ჯარისკაცი და მხარეთმცოდნეობის სასწრაფო დახმარების და სხვადასხვა პირობის დახმარების გზით დახმარდა:**

2008 წლის აგვისტოს ომის უმძიმეს დღეებში რუსულმა ჯარმა არა მარტო ცხინვალის დაიკავა, გორშიც შევიდა და დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზა გადაკეტა.

მოულოდნელი ომის ნიაღვრით შოკში ჩავარდნილი მოსახლეობის თანამდგომნი და იმედის მიმცემნი ადგილობრივი ეპარქიის ეპისკოპოსები, მეუფე ისაია და მეუფე ანდრია იყვნენ. ბუნებრივია, ეკლესიის მსახურთ ეკონომიურად და მორალურად ძალიან გაუჭირდათ.

სწორედ ამ დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სასწრაფოდ ჩავიდა მტრისგან დაკავებულ ნაომარ რეგიონში.

გადაწყვეტილება მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო არამარტო მოძალადე მხარისათვის, არამედ მაშინდელი ჩვენი ხელისუფლებისთვისაც.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეუვალად დაჟინებით, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა ჩარევით მოახერხა გამგზავრება.

პირობა ამგვარი იყო: ჩაგვეტანა ჰუმანიტარული დახმარება.

მე მაშინ საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ივერიას“ ვებმძღვენილობდი და წაიყვანე გადაღები ვგუფი. ტელევიზია „ივერია“ მედიიდან ერთადერთი იყო, რომელმაც გადაიღო და ისტორიას შემოუნახა უნიკალური ვიდეოკადრები.

პირველი შეხვედრა გორში გაიმართა. შემდეგ ცხინვალის რეგიონში შევედით.

წარმოიდგინეთ – შემინებული ადგილობრივი მოსახლეობა, სასწრაფო-ლოგისტიკური ხალხი და ხედავენ მათთან მისულ, მათ გვერდით მდგომ თავის საყვარელ პატრიარქს, არა მარტო ეკლესიაში, არამედ ყველგან! დიახ, ყველგან ისმოდა მისი სანუგეშო სიტყვა, ქადაგება.

ძალზე ემოციური და იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო დაიმედების შეგონება – იმედისმომცემ სიტყვებს ბევრი ცრემლიც ახლდა, ჩვენს ვიდეოფირებშია ეს ისტორია – აცრემლებული, ატირებული პატრიარქი.

... ვაგრძელებთ გზას... შემადრწუნებელია მინდვრებზე მიმოფანტული ჩვენი გმირი ბიჭების ცხედრების ხილვა.

გარდაცვლილ მტერი არ მარხავდა. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ

მოახერხა მათი გადმოსვენება.

უწმინდესმა, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თანმხლებ რუს გენერალს (შეიძლება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც მხოლოდ ღვთის იმედად გაემართა ამ სახიფათო გზაზე, რუსული ჯარიდან ან ადგილობრივი რუსი ბოევიკებიდან მოსალოდნელი ხიფათი შეყროდა) პირველივე შემთხვევის დროს შეაჩერებინა ესკორტი (ეს შეყოვნება, რა თქმა უნდა, წინასწარ შეთანხმებული არ იყო) და აგვისტოს ხვატში უკვე ხრწნადაწყებული, უპატრონოდ მიტოვებული ცხედრების გადმოსვენების მყისიერი გადაწყვეტილება მიიღო.

პროცედურა იოლად მოსაგვარებელი არ გახლდათ. ჯერ ერთი – უწმინდესის თანმხლებ გენერალს დამოუკიდებლად არ შეეძლო დათანხმებოდა პატრიარქს, მეორეც – გადმოსვენებას შესაბამისი ტრანსპორტი სჭირდებოდა.

ამ მძიმე ვითარებაში, ამჯერადაც, მოულოდნელად ჩასული სტუმრის ღირსებამ და მისადმი პატივისცემამ გაიმარჯვა.

ჩვენ გადმოსვენებისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა არ გვქონდა – პირბადეები, ხელთათმანები და ამიტომ, როცა პატრიარქმა მოძღვრები აკურთხა, მათ აიფარეს ნაჭრები და მიცვალებულები მანქანის ღია ძარაზე მოათავსეს.

უტრანსპორტობის გამო, თავდაპირველად მხოლოდ გარდაცვლილ ჯარისკაცთა ნაწილი გადმოვასვენეთ და რადგან ნებართვა გვქონდა, შემდგომ ყველა გარდაცვლილს მოვუარეთ.

დალუბულთა ოჯახებისა და დამწუხრებული ქვეყნისათვის ეს დიდი ნუგეში იყო. შემდგომში მიცვალებულთა დაფლვის წეს-განგება თავად პატრიარქმა ალასრულა.

... გზა გაგვგრძელებთ რეგიონის სიღრმისკენ და ჰუმანიტარული ტვირთით ჩავედით ნიქოზის ეპარქიის ეპისკოპოს ისაიასთან, რომელიც პატრიარქის კურთხევით, საფრთხის მიუხედავად,

დარჩენილი იყო ეპარქიაში მისი მრევლის იმედად და შემწედ.

... პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებული სამხრეთ-ოსეთის ოლქი მაშინ აღდგენილი იყო და დღესაც ჩვენი სახელწიფოს იურისდიქცია იქ მიუწვდომელია, სწორედ ამ ტერიტორიის გამყოფ საზღვარზე მდებარეობს მნიშვნელოვანი სინმინდე - ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

ვითარება ასეთი იყო: წაგებული ომის პირობებში, რუსების ნაქეზებით ოსებს რომ დაეკავებინათ ეს ეკლესია, მისი ჩვენთვის დაბრუნება წარმოუდგენელი იქნებოდა. პატრიარქმა სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება და ბოლნისიდან გადაიყვანა მღვდელ-მონაზონი სერაპიონი (შემდგომ არქიმანდრიტი იოანე ჯიშკარიანი) ბერ-მონაზვნებთან ერთად და ომიდან ფაქტობრივად მეოთხე-მეხუთე დღეს შევედით ლომისის ტაძარში, რომელიც ამჟამად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაშია და მრევლისათვის მომლოცველობის ადგილია.

მაშინვე მოხერხდა სამშენებლო მასალის ატანა და სახელდახელოდ აგებულ შენობაში დღესაც ცხოვრობენ ქართველი ბერები.

ლომისის წმინდა გიორგის ტაძარი მაღლა, ქედის წვერზე მდებარეობს და ნოემბრიდან მეორე წლის მისამდე ფერხდება მისასვლელი გზით მსვლელობა. მიუხედავად ამისა, ბერები იქ დღესაც ღირსეულად აგრძელებენ მოღვაწეობას.

მტერთან ნეიტრალური ურთიერთობის დამყარებას, მასთან საჭირო კონტაქტს დიდი გამჭრიახობა და დამარწმუნებელი დასაბუთება სჭირდება. ყოველივე ის, რაც მოხდა და მოხერხდა, ჩვენი ბრძენი უწმინდესისა და უნეტარესის დიპლომატიური უნარის შედეგია.

ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნის არსებობის ისტორიის მანძილზე, ჩვენი ეკლესია მტრის შემოსევისას ყოველთვის საკუთარ თავზე იღებდა საქვეყნო ტვირთს. 2008 წლის რუსეთთან სამდლიანი ომის დროსაც ასე მოხდა და ამ ტვირთის სამაგალითო მტვრითველი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა.



1. მიღებულია ჰუმანიტარული დახმარება; 2. ნუგეში საავადმყოფოში; 3. პატრიარქის ცრემლი.

**საპატრიარქოს ტელევიზია „ივერიის“ ვიდეოკადრებიდან**







## სკოლის თვალსაზრისით

# „სიყვარული სულბრძელ არს და ტკბილ“

სიყვარული საკრალური საიდუმლოა, რომელსაც მაშინ ვწვდებით, როცა მას უშუალოდ განვიცდით, მაგრამ მხოლოდ ცნებები და სიტყვები ამ განცდის გამოსახატად საკმარისი არ არის და მათი მეშვეობით ამომწურავად ვერ აიხსნება. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ გვიყვარს, მაგრამ რეალურად შეიძლება ეს სულაც არ იყოს ნამდვილი გრძნობა, – ამბობს მოციქული.

სიყვარული, რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობაა ქორწინებისთვის, მაგრამ ძლიერ გრძნობასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მართო გონივრულად ოჯახში მიმდინარე პროცესები და როგორ უნდა გქონდეს სწორი წარმოდგენა სქესთა შორის ურთიერთობებზე.

გაუგებრობების უმეტესობა ზუსტად იმითაა გამოწვეული, რომ წყვილი არ იცნობს ერთმანეთის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს და შემდგომ სწორედ ამ ფსიქოლოგიური ნიუანსების გაუცნობიერებლობის გამო წარმოიშობა ოჯახში კონფლიქტები. თუ გვსურს ჯანსაღი ურთიერთობების შექმნა, ამისთვის საჭიროა ჩვენგან ნარეული გრძნობის გამოწვევები მიზეზებსა და იმ ფაქტორების არსს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ წყვილის ურთიერთობაში.

და მიუხედავად სიყვარულის სირთულისა, მაინც ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს, რომ არის მის შესახებ რაღაც, რაც შესწავლას საჭიროებს.

„სიყვარულის უნარი დამოკიდებულია პიროვნულ განვითარებაზე, რისთვისაც ადამიანმა უნდა დაძლიოს ინფანტილური დამოკიდებულებები, ნარცისიზმი და სხვათა ექსპლუატაციის სურვილი. მან უნდა მოიპოვოს საკუთარი ძალების რწმენა და მზნეობა ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე“ (ერიხ ფრომი, „სიყვარულის ხელოვნება“, თბ., 2016, გვ. 38).

სიყვარულის ზოგად ხასიათს, თვალსაჩინოს ხდის ის ფაქტი, რომ გაცემის ელემენტის გარდა მისთვის დამახასიათებელია შემდეგი: მზრუნველობა, პასუხისმგებლობა, პატივისცემა და ცოდნა. მაგალითად: თუ ქალი იტყვის, რომ მას უყვარს ყვავილები, მაგრამ ავიწყდება მათი მორწყვა, ჩვენ ვერ ვირწმუნებთ მისი სიტყვების ჭეშმარიტებას. სიყვარული აქტიური ზრუნვაა სიცოცხლესა და ზრდაზე – იმაზე, ვინც ან რაც გვიყვარს. იქ, სადაც არ არის ზრუნვა, არც სიყვარულია.

„მზრუნველობა დაკავშირებულია სიყვარულის კიდევ ერთ ასპექტთან – პასუხისმგებლობასთან. დღეს ეს სიტყვა ხშირად აღნიშნავს გარედან იძულებას რაღაცის გასაკეთებლად, მაგრამ პასუხისმგებლობა თავისი შინაარსით სავსებით ნებაყოფლობითი ქმედებაა. ის ჩემი პასუხის სხვა ადამიანის გამოხატული თუ დაფარული საჭიროებებისადმი. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა ადვილად შეიძლება გადაიზარდოს მზრუნველობასა

და მესაკუთრეობაში იქ, სადაც არ არის სიყვარულის მესამე კომპონენტი – პატივისცემა. პატივისცემა შიშა და იძულებას კი არა, არამედ ადამიანის შეცნობას, მისი განსაკუთრებული



ბისა და ინდივიდუალობის აღქმას გულისხმობს. პატივისცემა ზრუნვაა ადამიანის ზრდასა და განვითარებაზე მისი იძულებითი შეცვლის და მასზე ბატონობის სურვილის გარეშე. ნათელია, რომ ეს პატივისცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე მივალნივ პიროვნულ დამოუკიდებლობას, თუ შემიძლია ფეხზე მყარად ვიდგე, ვინმეზე მზრუნველობის გარეშე. პატივისცემა აიგება მხოლოდ თავისუფლების საძირკველზე. L'amour est l'enfant de la libert, – ამბობენ ძველ ფრანგულ სიმღერაში – სიყვარული თავისუფლების შვილია და არა ძალმომრეობის“ (ერიხ ფრომი – „სიყვარულის ხელოვნება“, გვ. 41).

ქრისტიანობა ოჯახურ ურთიერთობაში თანასწორობას ასწავლის, მაგრამ მეტად საინტერესო და დამაფიქრებელია პავლე მოციქულის სიტყვები: „რადგანაც ქმარია ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე თავი ეკლესიისა“ (ეფეს. 5,23). მაინც რა იგულისხმება კაცის თავად ყოფნაში? და როგორ შეიძლება ეს სიტყვები არ გავიგოთ ისე, თითქოს მოციქული

რომელიმე მხარეს აკნინებდეს ან ერთს მეორეზე მეტ ღირსებას აკუთვნებდეს? თავად ყოფნა გულისხმობს მსგავსებას ქრისტესთან, როგორც ქრისტე არის თავი ეკლესიისა, რომელიც კი არ ბა-

წარმატებული, თუ ერთ-ერთი მათგანი მოისურვებს მზრუნველობას და მეორის იძულებით დაქვემდებარებას.

სამწუხაროდ, დღესდღეობით „მითი ქალური არასრულფასოვნების შესახებ და მასთან დაკავშირებული მამაკაცური უპირატესობა მუდმივად არღვევს სქესთა ჰარმონიას, რის შედეგადაც წარმოიშობა უზარმაზარი დაძაბულობა, რომელიც განსაკუთრებით სასიყვარულო ურთიერთობებს ეხება და ემუქრება ბედნიერების მისაღწევ ნებისმიერ შესაძლებლობას“ (ალფრედ ადლერი – „სქესთა შორის ურთიერთობები“, თბ., 2015, გვ. 31).

„თუმცა ორივე სქესი ერთმანეთთან უმჭიდროესადაა დაკავშირებული, მაინც შეიმჩნევა მათ შორის მუდმივი დაძაბულობა და ფსიქოლოგიური ჰარმონიის დარღვევა. ეს საყოველთაო ფსიქოლოგიური ვითარება ძალიან მტკივნეულად განიცდება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან და მიჰყავს შორს მიმავალ არასახარბიელო შედეგებამდე“ (ალფრედ ადლერი, „სქესთა შორის ურთიერთობები“ გვ. 6).

მაგრამ სულ სხვანაირად არის სიტუაცია მაშინ, როდესაც ადამიანები თანასწორები არიან. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „დაე, ცოლისთვის ქმარი ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასი იყოს, ქმრისთვის კი ცოლი – უსაყვარლესი“. ასეთი ურთიერთ-სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დროს მეუღლეები ყოველთვის მონახავენ ერთობლივ გზას სირთულეების დაძლევისთვის. მაგალითად, ისინი მიაღწევენ თანხმობას იმაში, რომ ბავშვები იყოლიონ. ისინი ერთმანეთს აღზრდის საკითხებშიც გაუგებენ. ენდომებათ წარმოქმნილი პრობლემის დაუწყონელივ გადაწყვეტა, რადგან ეცოდინებათ, რომ ბავშვების განვითარება არახელსაყრელ ოჯახურ გარემოში სწორად ვერ წარიმართება. ღირსი იოსებ ოპტინელი ამბობდა: „ოჯახი უნდა იყოს სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულისა“.

ნამდვილი, გამოცდილი სიყვარული მუდმივი გამოწვევაა. ეს არ არის მოსასვენებელი ადგილი, არამედ მოძრაობა, მზარდი, ურთიერთთანამშრომლობა. განურჩევლად იმისა, ჰარმონიული იგი, თუ კონფლიქტური, სასიხარულო, თუ სევდიანი. ეს მეორეხარისხოვანია იმ ფუნდამენტურ ფაქტთან შედარებით, რომ ორი ადამიანი განიცდის საკუთარ თავს მთელი არსებით და ამავედროულად, ისინი არა განცალკევებულნი, არამედ ერთი მთლიანობა არიან.

**მირანდა ჭიაბარაშვილი,**

**ქრისტიანული ფსიქოლოგიის  
ფაკულტეტის მესამე კურსის  
სტუდენტი**



# ერის სინკინდოები

რეზიუმე უძველესი

მღვდელი ბიოგრაფი ვაჟალოშიძე

## ანჩისხატის ტაძარი

ანჩისხატის ტაძარი VI საუკუნის ნაგებობაა. იგი მარიამწმინდის ტაძრად იწოდებოდა და თბილისში ყველაზე ადრეული ხანის სატაძრო ნაგებობაა. XX საუკუნის 60-იან წლებში, ანჩისხატის ტაძარში, რესტავრაციის დროს, აღმოაჩინეს ქვის ორი ფილა (ამჟამად ისინი ტაძრის დასავლეთ ფასადშია ჩასმული), რომლებზეც „ჯვრის ამალეების“ რელიეფთან ერთად V-VI საუკუნეების ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი, სადაც ვკითხულობთ: „უფალო, მეფე დარის შეხენი“.

აღნიშნული საქტიტორო წარწერა ადასტურებს, რომ ანჩისხატის სატაძრო ნაგებობა ყოვლადწმიდა მარიამის შობის სახელზე აგებული ეკლესიაა, რომლის შესახებაც XI საუკუნის ძეგლში – „მოქცევა ქართლისა“-ში წერია: „თბილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდა ეკლესია აღაშენეს“. ტაძარი VI საუკუნის დასაწყისში ააგეს, როცა დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს. ამ დროს ქართლში ვახტანგ გორგასლის შვილი, დანი უჯარმელი მეფობდა.

VII საუკუნეში თბილისი ბიზანტიელთა და ხაზართა გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო. ტაძარი თითქმის

მთლიანად განადგურდა და 634 წელს იგი თავიდან ააგო ქართლის კათოლიკოსმა ბაბილამ. ამავე პერიოდს განეკუთვნება ტაძრის ახლოს მდებარე საკათალიკოსო რეზიდენცია.

ანჩისხატის ტაძარი ერთადერთი იყო თბილისში, რომელშიც არაბთა ბატონობის დროს ზარები ირეკებოდა. ამის გამო მას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, „ზარის საყდარსაც“ უწოდებდნენ. საისტორიო წყაროებში „მარიამწმიდა ეკლესიის“ შესახებ დანერვილებითი ცნობები არ შემონახულა. იგი, ზოგადად, ისტორიულ წყაროებში, საკათალიკოსო ეკლესიად მოიხსენიება.

1664 წელს ქართლის კათალიკოსმა დომენტი III-მ თბილისელი ვაჭრისაგან შეიძინა სამცხიდან, ანჩის მონასტრიდან, ჩამოტანილი ბეჟა ოპიზრის მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (1555 წელს კლარჯეთი ოსმალეთმა დაიპყრო და VI საუკუნეში დაარსებული ანჩის საეპისკოპოსოც გაუქმდა). ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაასვენეს, რის გამოც ტაძარს ანჩისხატის ეკლესია ეწოდა.

კათალიკოს დომენტის ლოცვა-კურთხევით დაზიანებული ტაძარი კიდევ ერთხელ შეაკეთეს.

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XVII საუკუნეში აგებული აგურის ორსართულიანი სამრეკლო. იგი ტაძრის გალავნისა და ქუჩის ორგანული ნაწილია, ხოლო ეკლესიის ეზოში ჩასასვლელ კარიბჭეს პირველი სართული წარმოადგენს. სამ-



რეკლოს დასავლეთ ფასადში ჩასმულია მართკუთხა ფილა მხედრული წარწერით: „ჩუენ, ქრისტესმიერ კურთხეულმან ბატონის შვილმან კათალიკოზმან დომენტი, აღუაშენე სამრეკლო ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლისა შაჰნავაზისსა ტნივ (1675)“.

1683 წელს ანჩისხატის ტაძარი მოხატეს. გვიან შუა საუკუნეებში იგი კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. 1755 წელს, ერეკლე II-ის ხელშეწყობით, ტაძართან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია დაარსდა, რომელმაც 1795 წლამდე (ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე) იარსება. კრწანისის ბრძოლის შედეგად (1795 წელს), ეკლესია ძალიან დაზიანდა და XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ აღადგინეს. 1814 წელს ტაძარი თავიდან მოუხატავთ. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ტაძარი კვლავ შეაკეთეს. ანჩისხატის ეკლესიას რესტავრაცია 1958-64 წლებშიც ჩატარდა, რის შედეგადაც გამოვლინდა მისი პირვანდელი იატაკი და XVII საუკუნის ფრესკების ფრაგმენტები. შენობას დაუბრუნდა ისეთი სახე, როგორც დომენტი კათალიკოსის დროს ჰქონდა.

ტაძრის სინკინდეთა შორის განსაკუთრებულია ანჩისხატად წოდებული „პირი ღვთისას“ ხატი, რომლის სახელზეც არის აგებული ეს ტაძარი (რო-

გორც ზემოთ აღინიშნა). იოანე ანჩელის მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის ანჩისხატისადმი მიძღვნილი საგალობლები - „გალობანი ანჩისხატისანი“, - ეს არის პირველი ხელთუქმნელი ხატი, „მანდილიონად“ წოდებული,



ანჩისხატის ხატი

რომლის ისტორიაც ედესის მეფეს უკავშირდება. კერძოდ, დაავადებულ ედესის მთავარს უფალმა იესო ქრისტემ ტილოზე ასახული საკუთარი სახე გაუგზავნა (მან ტილო სახეზე მიიღო და სასწაულბერივად ასახა საკუთარი სახე). იოანე ანჩელის მიხედვით, ეს ხატი ანდრია პირველწოდებულმა შემოაბრძანა საქართველოში და დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაბრძანებული.

ანჩისხატის ტაძრის კარიბჭე

გაზეთის ოქტომბრის ნომერი მოამზადეს გივი შაყილაძემ (რედაქტორი),  
სალომე გოგიწინაძემ (პასუხისმგებელი მდივანი),  
ლოქტორანტმა რეზო მუჯირიშვილმა,  
დეკანოზმა იოანე ბარაკალიამ (საღვთისმეტყველო წერილების კურატორი)  
დამკაბალონებელი - შორენა ფარქოსაძე  
დაიბეჭდა შპს „მერიდიანის“ სტამბაში.